ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 193

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ვანის მუნიციპალიტეტის მერიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ 21.03.2019 წლის №60, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 04.04.2018 წლის №20/1749; 04.09.2018 წლის №20/3861 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 19.06.2019 წლის №01/14049 წერილობითი მომართვების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, ვანის მუნიციპალიტეტის მერიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საწყობში დასაწყობებული, მოძრავი ქონების, კერძოდ, 110 (ას ათი) ერთეული, დემონტირებული გარე განათების სანათის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარგებლობაში გადაცემული წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება გამოყენებული უნდა იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებ-ლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია